ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამუსგლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

1991
სამშაბათი
5
ნოემბერი
№ 122 (10515)
ფასი 5 კაპ.

ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტურისა და საკრებულოს ორგანო. გაზეთი გამოდის

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ხ ე ს ი ა

30 ოქტომბერს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის სხდომაზე ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების მიმართ საქართველოს პოზიციის საკითხის განხილვა გვიანობამდე გაგრძელდა. მისი შეჯამებისას, პარლამენტარებმა აღნიშნეს, რომ კონკრეტული სჯა-ბაასი ამ გაერთიანებაში რესპუბლიკის მონაწილეობის შესახებ შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ ხელშეკრულების ახლანდელი სუბიექტები ცნობენ საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობას.

დეპუტატებმა განიხილეს „მრგვალი მაგიდის" საპარლამენტო ფრაქციის მიერ შემოთავაზებული საკითხი უზენაესი საბჭოს საგარეო ურთიერთობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის გადარჩევის შესახებ. გაიმართა კენჭისყრა, რომლის დროსაც „მრგვალი მაგიდის" ფრაქციის წინადადებამ არ მიიღო საჭირო რაოდენობის ხმები.

31 ოქტომბერს გაგრძელდა სესიის სხდომა. დეპუტატების წინადადებით, რომლებმაც სერიოზული შეშფოთება გამოთქვეს საქართველოში კრიმინოგენური სიტუაციის გამწვავების გამო, ინფორმაცია გააკეთა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა დილარ ხაბულიანმა. გაზრდილი დამნაშავეობის მთავარ მიზეზად მან დაასახელა ის, რომ მოსახლეობას აქვს დიდძალი იარაღი, მოითხოვა უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა დაშლა, რომლებიც, როგორც მან აღნიშნა, ინიღბებიან პოლიტიკური მიზნებით, სინამდვილეში კი მათი უმრავლესობა ხელს უწყობს რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში ძალმომრეობის ესკალაციას. მინისტრმა დასვა აგრეთვე საკითხი მილიციის მუშაკთა უფლებამოსილებათა გაზრდისა და იარაღის უკანონო ტარებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ.

შინაგან საქმეთა მინისტრის ინფორმაციის ირგვლივ გაიმართა კამათი, რომელმაც გამოავლინა აზრთა სხვადასხვაობა „უკანონო შეიარაღებული ფორმირებების" ცნების განმარტების, რესპუბლიკაში კრიმინოგენური სიტუაციის გამოსწორების გზების თაობაზე.

სესიამ იმსჯელა სამაჩაბლოში შექმნილ მდგომარეობაზე, აღინიშნა, რომ ამ ბოლო ხანს მკვეთრად გამწვავდა ვითარება. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამაჩაბლოს პრობლემა მჭიდროდ უკავშირდება რუსეთთან და სსრ კავშირთან საქართველოს ურთიერთობას, და რომ საჭიროა ამ ურთიერთობებში სიცხადის შეტანა. მან თქვა, რომ სამაჩაბლოში კონფლიქტს ბოლო მოეღება მას შემდეგ, რაც რუსეთი და სსრ კავშირი ცნობენ საქართველოს დამოუკიდებლობას.

შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლის გზებზე თავიანთ გამოსვლებში ილაპარაკეს პრაქტიკულად ყველა საპარლამენტო ფრაქციის წარმომადგენლებმა. უზენაესმა საბჭომ გადაწყვიტა მიმართოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას თხოვნით გამოგზავნოს საქართველოში საერთაშორისო ექსპერტები სამაჩაბლოში მდგომარეობის ობიექტური შეფასებისათვის.

პარლამენტმა დააკმაყოფილა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თხოვნა თბილისის მეტროპოლიტენისათვის ვაგონებისა და საქართველოს სამოქალაქო ავიაციისათვის სამგზავრო თვითმფრინავების შესაძენად ხაზინუჯეტო ასიგნებათა გამოყოფის თაობაზე.

უზენაესმა საბჭომ განიხილა საკადრო საკითხები.

1 ნოემბერს სესია განაგრძობდა მუშაობას.

* * *

პირველ ნოემბერს მუშაობას განაგრძობდა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს მეორე სესია. სხდომის გახსნისთანავე გაკეთდა რამდენიმე განცხადება.

ამბროლაურის რაიონში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, რომელიც წინა დღით მოახსენა უზენაეს საბჭოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა დილარ ხაბულიანმა, განცხადება გააკეთა სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების თავმჯდომარემ დეპუტატმა ვაჟა ადამიამ. გამოთქვა რა თავისი თვალსაზრისი, მან დაგმო იმ პირთა მოქმედება, რომლებმაც პროვოკაციულად გამოიწვიეს არეულობა ამ რაიონში, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პოლიტიკურ პარტიას ან ორგანიზაციას განეკუთვნებიან ისინი.

საპარლამენტო ფრაქციის „ქარტია-91"-ის სახელით განცხადება გააკეთა დეპუტატმა მერაბ ურიდიამ. მან, კერძოდ, დააყენა საკითხი, რომ საჭიროა რესპუბ-

* * *

ლიკის პრეზიდენტი შეხვდეს ამ ფრაქციის წარმომადგენლებს.

დაუბრუნდნენ რა სესიის დღის წესრიგში შეტანილი საკითხების განსჯას, დეპუტატებმა განიხილეს ბინების პრივატიზაციის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტი. იგი წარმოადგინა უზენაესი საბჭოს ჰუმანიტარულ და სოციალურ საკითხთა მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ რობერტ პეტრიაშვილმა, რომელმაც კანონმდებლებს გააცნო გამოქვეყნების შემდეგ ამ კანონპროექტში შეტანილი ცვლილებანი და დამატებანი. ამის შედეგად უზენაესმა საბჭომ მიიღო ეს კანონი პირველი წოსმენით.

უზენაესმა საბჭომ განიხილა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის საქმიანობის, მომსახურებისა და დაცვის უზრუნველყოფის საკითხი და მიიღო შესაბამისი დადგენილება.

უზენაესი საბჭოს იურიდიული მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ სესიამ აირჩია დეპუტატი კახაბერ ჩაჩიბაია ფიფიკხალავა. არჩეულია აგრეთვე ამ კომისიის

* * *

შემადგენლობა.

დეპუტატი ავთანდილ იმნაძე განთავისუფლებულია უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან. ამ კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია დეპუტატი ზაურ ქობალია.

პარლამენტმა დააკმაყოფილა დეპუტატ თედო პაატაშვილის თხოვნა და გაათავისუფლა იგი უზენაესი საბჭოს საგარეო ურთიერთობათა მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან. ამ კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია დეპუტატი მედეა თუშმალიშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის შუამდგომლობით უზენაესმა საბჭომ დროებით შეაჩერა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 10 აგვისტოს მიღებული კანონის მოქმედება. ფრაქციებმა, რომლებიც საპარლამენტო უმცირესობას წარმოადგენენ, არ მიიღეს მონაწილეობა ამ საკითხზე კენჭისყრაში.

სესიამ განიხილა სხვა საკითხები.

საქინფორმი.

---

### საქართველოს რესპუბლიკის

## კ ა ნ ო ნ ი

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევის წესის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევის წესის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 27 თებერვლის კანონის 27-ე მუხლის მე-2 წინადადებაში სიტყვები „ორი კვირის ვადაში" შეიცვალოს სიტყვებით „უახლოეს სხდომაზე".

2. ეს კანონი ძალაშია მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 30 ოქტომბერი.

### საქართველოს რესპუბლიკის

## კ ა ნ ო ნ ი

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 18 აგვისტოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილში სიტყვები „კომისიის თავმჯდომარესა და 4 წევრს ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი" შეიცვალოს სიტყვებით „კომისიის თავმჯდომარეს, კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს საორგანიზაციო საკითხებში და კომისიის 3 წევრს ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი".

2. კანონი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 30 ოქტომბერი.

### საქართველოს რესპუბლიკის

## კ ა ნ ო ნ ი

### საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების თაობაზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

შეტანილ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში შემდეგი ცვლილებები:

1. 104-ე მუხლის 30-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„30) გამოსცემს აქტებს ამნისტიის შესახებ".

2. 121 (4) მუხლის 20-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„20) ახორციელებს შეწყალებას".

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 30 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქალაქის ელექტრომომსახურების პრობლემები

**ქალაქის მოსახლეობის ელექტროენერგიით მომსახურების სტაბილიზაციის პრობლემა ყოველთვის იდგა დღის წესრიგში. მით უფრო გამწვავებულია იგი ამჟამად. მრავალნაირი დეფიციტების ფონზე, ამ სფეროში თავჩენილ ნებისმიერ ვიწრო ადგილს ძალუძს გუნება-განწყობილება მოუშხამოს აბონენტს, გამოიწვიოს მორალურ-ფსიქოლოგიური მიკროკლიმატის დესტაბილიზაცია.**

**ზუგდიდის ელქსელის საქალაქო უბნის კოლექტივის წინაშე დგება უმკაცრესი გამოცდის ჟამი. ახლოვდება ზამთარი, რომელიც დროული თადარიგის დაჭერას ითხოვს. როგორც ჩანს, უბნის წინაშე აღმართულია პრობლემების მთელი გორა, რასაც თანმიმდევრულად, მეთოდური ძალისხმევით უნდა დაძლევა. რა საშუალებები და ბერკეტები გაჩნიათ ხელთ ორგანიზაციის ხელმძღვანელებს მათ გადასაწყვეტად? ამ და სხვა კითხვებზე პასუხის მისაღებად ვეწვიეთ ელქსელის საქალაქო უბნის [illegible] ბორის ქვარაცხელიას.**

# წესიერი აბონენტი ბევრს ნიშნავს

**— რაც თავი მახსოვს, თქვენს სამსახურს ნორმალური მუშაობისათვის ოპტიმალური პირობები არასოდეს ჰქონია. თუ შეიცვალა რაიმე ამ კუთხით ბოლო ხანებში?**

— რა თქმა უნდა, ხუთი წლის წინანდელ მდგომარეობასთან შედარებით გარკვეულწილად უკეთეს პოზიციაზე ვიმყოფებით. მაგალითად, ერთგვარად გაუმჯობესდა უბნის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მოხაშვილის, საბჭოს, კობახიძის, ქურიძშევის, პუშკინის და ზოგიერთ სხვა ქუჩებზე დამონტაჟებულ იქნა სატრანსფორმატორო პუნქტები. რამდენიმე მიკროუბნებზე რეკონსტრუქცია ჩატარდა საკმაოდ ამორტიზირებულ ელექტროგადამცემ ხაზებს.

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, კვლავ მწვავედ იჩენს თავს მოწყობილობა-დანადგარების, სხვადასხვა ელექტრო მასალების დეფიციტი. ყოველივე [illegible] ამას დისონანსი შეაქვს ჩვენი უბნის ნორმალურ ფუნქციონირებაში. ასე თუ ისე, შექმნილი სირთულეების წინაშე ხელების ჩამოყრას არ ვაპირებთ. მაქსიმალურად ვცდილობთ ჩვენს ხელთ არსებული რესურსები ყაირათიანად, დანიშნულებისამებრ გამოვიყენოთ. აკი ჩვენს წინაშე ალტერნატივა გამორიცხულია. მოქალაქე სამართლიანად ითხოვს ელექტროენერგიას და ვალდებული ვართ დავაკმაყოფილოთ მისი მოთხოვნილება.

**— რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თქვენს მუშაობაში ერთგვარ აქილევსის ქუსლად მიჩნეულია გარკვეული კატეგორიის აბონენტების თვითნებობა. როგორ ახერხებთ ამ პრობლემის მოგვარებას?**

— ნამდვილად დასანანია, რომ ჩვენს ქალაქში წლობით დამკვიდრებული ინერციის კვალობაზე ჩამოყალიბდა ურჩი გადამხდელის ტიპი. სხვათა შორის ასეთ პარადოქსულ სიტუაციასაც აქვს ადგილი. რატომღაც ასეთებს აქვთ უფრო მეტი პრეტენზია ქსელის უწესივრობის რაიმე ფაქტზე ვინემ ელენერგიის საფასურის წესიერ გადამხდელებს.

აქვე გულისტკივილით უნდა მივანიშნო დროის მიერ მოტანილ სიახლეზე. ქალაქი მოიფინა სხვადასხვა ჯურის კოოპერატივებით და კომერციული მაღაზიებით. ერთიათად გაიზარდა ელენერგიის მოხმარება, რაც კატასტროფულად აგდებს ენერგიის მიწოდების ხარისხს. ჩვენი სამსახური საკუთარი ძალებით ამკაცრებს კონტროლს, მაგრამ პრობლემის გადაწყვეტას ეს არ შველის. სანამ თვითონ მომხმარებლის შეგნება ასეთ სავალალო დონეზეა, ამდაგვარ წინააღმდეგობებს კვლავაც წავაწყდებით. ჩვენი თხოვნა და მოთხოვნაა: ქალაქის შესაბამისმა სამსახურებმა ხელშესახები გარდატეხა შეიტანონ ქალაქის გათბობის მოგვარებაში, რაც მკვეთრად გაგვიიოლებს მუშაობას, სულს მოათქმევინებს ელექტროქსელებს.

მომავალი წლიდან ჩვენი სამსახური სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადადის. ეს ნიშნავს იმას, რომ უმკაც[რეს]ი კონტროლი დაწესდება აბონენტთან ურთიერთხელშეკრულების რეალიზაციის პირობების დაცვაზე. უფრო კონკრეტულად ეს გამოიხატება რეალიზირებული ელექტროენერგიის საფასურის მაქსიმალურ ამოღებაში. მხოლოდ ამ საკითხის მოგვარება შეგვაძლებინებს უბნის ნორმალურ ფუნქციონირებას, ყოველი სახის ხარჯების გეგმაზომიერად გაწევაში.

ამასთან მკითხველს არ გვინდა ისეთი შთაბეჭდილება დარჩეს, თითქოს ჩვენი ნაკლოვანებები მხოლოდ ობიექტური სიძნელეებით იყოს გამოწვეული. სცოდავენ როგორც ჩვენი ტექნიკური პერსონალი, ისე ენერგოგასაღების სისტემის მუშაკები. ყოველი მათგანი როდი ეკიდება მინდობილ საქმეს სათანადო პასუხისმგებლობით. ყველამ უნდა ბოლომდე გაითავისოს მომავალი ზამთრის სეზონის სირთულეები.

ელქსელის საქალაქო უბანი ყოველნაირად შეეცდება, მასზე დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულებას. ოღონდ საჭიროა ამ საქმეში მოსახლეობის აქტიური მხარდაჭერა.

ესაუბრა ზ. ცხონდია.

---

ჩვენი ინტერვიუ

# ახალი ტიპის უმაღლესი სასწავლებელი

**ჩვენს დედაქალაქში შეიქმნა ახალი ტიპის უმაღლესი სასწავლებელი ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტი. საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრი კლარა ფაჩუაშვილი ეწვია სამეცნიერო საწარმოო ფირმა „მერიდიანთან" არსებულ ეკონომიკურ-ჰუმანიტარული დამოუკიდებელი ინსტიტუტის რექტორს, დოცენტს მზია ქებურიას და სთხოვა რამდენიმე შეკითხვაზე პასუხი გაეცა.**

**ქალბატონო მზია, რა აუცილებლობით არის ნაკარნახევი თქვენი ინსტიტუტის დაარსება?**

— სამეცნიერო საწარმოო ფირმა „ინტერგეომოდელი" წარმოადგენს მრავალდარგოვან საწარმოო კომერციულ წამოწყებათა კომპლექსს, რომლის სწორი და თანამედროვე დონეზე ფუნქციონირებისათვის აუცილებელია საკუთარი საკადრო უზრუნველყოფა. ამავე დროს თავისი გამოცდილებიდან გამომდინარე მას შეუძლია სახალხო მეურნეობის მეწარმოებრივ ობიექტებს მოუმზადოს თანამედროვე ტექნოლოგიაზე აღზრდილი სპეციალისტები. ინსტიტუტის მიზანია მოამზადოს ღრმა თეორიული და აუცილებელი პრაქტიკული ცოდნით შეიარაღებული მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები, აგრეთვე ხელი შეუწყოს უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტებს კვალიფიკაციის ამაღლებასა და ახალი სპეციალობების დაუფლებაში. ინსტიტუტს შესაძლებლობა ექნება ჩაატაროს სამეცნიერო კვლევითი სამუშაოები.

**კონკრეტულად რა დარგის სპეციალისტებს მოამზადებს თქვენი ინსტიტუტი?**

— სამრეწველო წარმოების მენეჯერს, სასურსათო და სამრეწველო საქონლის მარკეტინგს, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მენეჯერს, ისტორიკოსს, უცხო ენების სპეციალისტს.

სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა უცხო ენათა და კომპიუტერული ტექნიკის პრაქტიკული გამოყენების გაძლიერებულ სწავლებას.

**რას გვეტყვით კონტინგენტზე?**

— ინსტიტუტში სასწავლებლად მიიღებიან საქართველოს და უცხოეთის მოქალაქენი, რომელთაც მიღებული აქვთ საშუალო, საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლება და გადაიხდიან სწავლების საფასურს, სწავლის საფასურის გადახდა ხდება პირადად, ან დაინტერესებული ორგანიზაციის საშუალებით. სტუდენტთა ჩარიცხვა სწარმოებს გამოცდების ან სპეციალური ტესტებით გასაუბრების შედეგად. ამასთან ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ის სტუდენტები, რომლებიც განიცდიან ეკონომიკურ სივიწროვეს, ჩვენი ფირმის მიერ დასაქმებული იქნებიან შესაფერის სამუშაოზე და მათ თითქმის შეეძლებათ სწავლის საფასური თავიანთი შრომით აინაზღაურონ. პერსპექტულ სტუდენტებს სამეცნიერო მუშაობაში ჩავაბამთ, რათა საზღვარგარეთის მოწინავე ინსტიტუტებში პრაქტიკის გავლის უფლება მოიპოვონ.

**რას გვეტყვით ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობაზე?**

— მოწვეული გვყავს თეორიული და პრაქტიკული გამოცდილების მქონე მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები, დოცენტები. მათ შორის არის თქვენი თანაქალაქელი, ასოციაცია „ჰამარის" პრეზიდენტი, დოცენტი ზაურ ჩქვანავა.

**ქალბატონო მზია, ხომ არ ფიქრობთ დამატებითი კონტინგენტის მიღებაზე?**

— ჩვენი ინსტიტუტის კონტინგენტის დაკომპლექტება დაემთხვა დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებას, რამაც გარკვეულწილად ხელი შეუშალა ინფორმაციის დროულად გასვლას, ამჟამად ვღებულობთ წერილებს რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან და გვთხოვენ გამოვაცხადოთ ინსტიტუტში დამატებითი მიღება. ჩვენ ვაკმაყოფილებთ მათ თხოვნას და მიმდინარე წლის 2 ნოემბრიდან 12 ნოემბრამდე გრძელდება საბუთების მიღება დამატებით. ამის საშუალებას გვაძლევს ისიც, რომ ჩვენი ინსტიტუტისათვის გამოინახა თბილისის ცენტრში კეთილმოწყობილი სასწავლო აუდიტორიები. (იმედაშვილის ქუჩა, 123-ე სკოლა).

ახალი ტიპის უმაღლესი სასწავლებლის მონოლითურ კოლექტივს ვუსურვებ ნაყოფიერ შემოქმედებით შრომას და წარმატებებს.

**გმადლობთ.**

---

## მოგვწერეთ თქვენი აზრი: „როგორ გესახებათ აგრარული რეფორმა?"

# თუ გონივრულად გამოვიყენებთ

**ყოველი ჩვენგანი თვალნათლივ ხედავს, თუ რა მძიმე დღეშია რესპუბლიკის აგრარული სექტორი. ამის წარმომშობი მიზეზების ახსნაც არ წარმოადგენს დიდ სიძნელეს. ათეული წლების მანძილზე სოფლის მეურნეობის მართვის სფეროში დამკვიდრებულმა სახელმწიფო ავტორიტარულმა სისტემამ, ფაქტობრივად მიწათმოქმედებაზე ცენტრისტული დირექტივების გაბატონებამ გამოიწვია გლეხკაცის გაუცხოება მიწისაგან, შრომის შედეგებისაგან.**

**ყოველივე ზემოთქმულმა ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა ტოტალიტარული წარმოების წესის დამკვიდრებას, ყოვლად დემაგოგიური დებულების გაბატონების, როცა ცდილობენ ადამიანები დაარწმუნონ, რომ საზოგადოებრივ წარმოებაში საწარმოო საშუალებანი ყველასია, სინამდვილეში კი პირიქითაა, იგი არავისია. ასეთმა მიდგომებმა მიგვიყვანა ღრმა კრიზისამდე: ძვირდება სოფლის მეურნეობის პროდუქტები, მცირდება მშრომელთა გადახდისუნარიანობა, ქვეითდება ცხოვრების დონის მაჩვენებლები.**

**დღის წესრიგში მთელი სერიოზულობით დგას აგრარული რეფორმის დაჩქარების პრობლემა. და იგი უნდა განხორციელდეს გეგმაზომიერად, თანდათან, ეტაპობრივად. ამასთან ამ პროცესს, ჩემის აზრით, უნდა მივანიჭოთ მრავალმხრივი ხასიათი, დღეს ბევრი სპეციალისტი გამოთქვამს იმის საჭიროებას, რომ სასოფლო წარმოებაში უნდა დაინერგოს მიწათმოქმედების სხვადასხვა ფორმები და სტრუქტურები. ეს პროცესი კი უნდა დაიწყოს პრივატიზაციით. ამ მოსაზრებებს ძნელია არ დაეთანხმო. მაგრამ უცილოდ უნდა გავითვალისწინოთ ერთი მომენტიც: საბჭოური მართვის ბიუროკრატიული აპარატის სრული** დემონტაჟის გარეშე ვერაფრით ვერ მივაღწევთ რაიმე რეალურ შედეგებს. ამასთან ხელის ერთი დაკვრით სახელმწიფო სექტორის როლისა და უფლებების იგნორირებაც ზედმეტ სირთულეებს შეგვიქმნის. ხანამ საკუთრების ახალი ფორმები და ახალი სამეურნეო მექანიზმები ეფექტურად არ ამოქმედებულა, აღნიშნულმა სექტორმა თავის თავზე უნდა აიღოს მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მძიმე ტვირთი.

ამასწინათ პრესაში გამოქვეყნდა საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში „საიჯარო ურთიერთობათა საფუძვლების შესახებ" კანონის პროექტი, ამ დოკუმენტის საფუძველზე უზენაესი საბჭოს შესაბამის მუდმივ კომისიაში მომზადდა იჯარის დებულება. ეს არის ორივე მხარისათვის ხელსაყრელი წარმოებითი ურთიერთობის ფორმა, რომელსაც გონივრული რეალიზაციის შემთხვევაში ძალუძს სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვნად წინ წაწევა.

ახალი დებულება მეიჯარეს ვალდებულებს არ დაუშვას ეკოლოგიური პირობების გაუარესება და მიწის ნაყოფიერების დაქვეითება და ა. შ. მეიჯარეს აქვს უფლება დამოუკიდებლად განსაზღვროს თავისი საქმიანობა და საიჯარო ქირის გადახდის შემდეგ თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს მის მიერ წარმოებული პროდუქცია და მიღებული შემოსავალი.

ასეთი და სხვა მუხლები აღნიშნულ დებულებას ხდის ეფექტის მომცემ დოკუმენტად, ხოლო იჯარის ფორმას ერთ-ერთ მისაღებ სამეურნეო მექანიზმად საქართველოს მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობაში.

ჯ. თელია.

წერილები — რედაქციას!

## ვინ გამოგვიწვდის დახმარების ხელს?

ზ. გამსახურდიას ქუჩა ერთ-ერთი ცენტრალური ნაწილია ქალაქში, მაგრამ მიუხედავად ამისა, მოსახლეობა მოკლებულია იმ ელემენტარულ მომსახურებას, როგორიცაა კანალიზაცია, გაზგაყვანილობა.

ადრე გვპირდებოდნენ, რომ 1987 წლიდან გაიყვანდნენ გაზის მაგისტრალს, მაგრამ დაპირებით გაწბილებულნი.

ვფიქრობ, რომ დღევანდელ მძიმე პირობებში ძირს შესაბამისი თანხების გამონახვა, მაგრამ ფუთქრობთ ქალაქის ახალი ხელმძღვანელები გამოსავალს იპოვიან.

ერთი დიდი გასაჭირიც გვადგას. მოგეხსენებათ ჩვენი ქუჩა საქართველოს ცენტრალური ტრასის ნაწილია, ამდენად, იგი იხვა გადატვირთული ტრანსპორტით, რომ ძირს ხუნდქვა, ხმაურისაგან ძილი და მოსვენება გვაქვს დაკარგული. მიუხედავად ამისა, ჩვენთვის საქალაქო ტრანსპორტი დეფიციტი გახდა. როცა ელექტროდენი გამოირთვება და ტროლეიბუსი გაჩერდება, გვიწყდება ქალაქის ცენტრთან კავშირი. აუცილებელია ამ მიმართულებით ერთი ავტობუსიც მოძრაობდეს.

მთელი ქუჩის მოსახლეობის მოთხოვნაა, როგორმე მოხერხდეს ქუჩის ავტოტრანსპორტისაგან განტვირთვა, დაწესდეს ტრანსპორტის შეზღუდული სიჩქარე, ცალმხრივი მოძრაობა.

გამსახურდიას ქუჩის მოსახლეობის დავალებით

ქუჩის კომიტეტის თავმჯდომარე **ლ. ქარჩავა.**

## იქნებ, ახლა მაინც ...

გაზეთ „ოდიშის“ (იმ დროს „მებრძოლი“ ერქვა) 1989 წლის 26 მარტის ნომერში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი სათაურით „იბილწება სასაფლაო“. მაშინ ვწერდით, რომ ქართველი კაცისათვის სასაფლაო — წინაპართა ხსოვნის სამუდამოდ განსასვენებელი ადგილი მუდამ იყო და არის უწმინდესი ალაგი მშობლიური მიწისა. რამდენ გულისტკენია, რომ ჩვენი ქალაქის ქაფთის სასაფლაო მოკლებულია ყოველგვარ ყურადღებას. იგი არაერთი ათეული წელია არსებობს, მაგრამ მის შემოკავებას, წყალსაწრეტი არხების გაყვანას, შიდაგზების კეთილმოწყობას არა და არ დაადგა საშველი, სამწუხარო ფაქტია, რომ საფლავებს ბილწავენ ძროხები, ღორები, ნადგურდება ჭირისუფალთა მიერ დარგული ნერგები..

დავიჯეროთ, ყოველივე ამას ვერ ამჩნევენ იმ ორგანიზაციათა მესვეურები, რომლებსაც სასაფლაოს ტერიტორიის შემოკავება და წესრიგში მოყვანა ევალებათ?!

ასე მთავრდებოდა ის წერილი, რომლის გამოქვეყნებიდან ორ წელზე მეტი გავიდა, მაგრამ კრიტიკას საქმით თუ სიტყვით არავინ გამოხმაურებია, არადა, ვიმედოვნებდით, გაზეთის პუბლიკაცია არ დარჩებოდა „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა“.

სამწუხაროა!

იქნებ, ახლა მაინც...

**ზ. ბ[illegible]შიბაია,**

შრომის ვეტერანი.

## საად გაქრა

ხალმათ მოზრდილი სოფელია ზედაეწერი. აქ არის მეჩაიეობის სამოგადოებრივი მეურნეობა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, საავადმყოფო, კომპლექსური ბაგა-ბაღი, ჩაის ფაბრიკა, მიკროფაბრიკა, საშუალო სკოლა და სხვა, სადაც ადგილობრივ კადრებთან ერთად დასაქმებულია ჩამოსული სპეციალისტები, მუშახელი, რომლებიც დიდად განიცდიან უტრანსპორტობას. მართალია ზედაეწერის მიმართულებით მოძრაობენ გავლილი ავტობუსები, მაგრამ ისინი მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს მშრომელთა მოთხოვნილებას.

ადრე ზედაეწერში დადიოდა ორი მარშრუტის — №18 და №15 ავტობუსები, რომლებიც კარგა ხანია არ ჩანს. სად გაქრა აღნიშნული მარშრუტის ტრანსპორტი?

ვანუხბ ზუგდიდის შესაბამისი ავტოსატრანსპორტო საწარმოსა და სოფლის ხელმძღვანელობისაგან მოველით.

**ზედაეწერელი მშრომელები.**

თუ შრომა და ფული დავხარჯეთ, გავაკეთოთ საშვილიშვილო საქმე.

ნარგავებს მოვლა და გახარება სჭირდება. წყალში ნუ ვყრით მანეთებს...

**გ. ანდრიაძე.**

## ტირიფები ტირიან...

ქალაქის ქუჩებში ამ გაზაფხულზე გამწვანების მესვეურებს მოუსურვებიათ ტირიფდარგულ მეჩხერ ადგილთა შევსება ახალი ნერგებით. მისასალმებელია, მაგრამ რამდენიმე პეშვი მიწის შემოყრით როდი მთავრდება საქმე. მტირალა ტირიფის ნედლ ნერგებს სჭირდება გამაგრება ჭიგოებზე, მაგრამ ვინ მოიფიქრა, ვინ აიტკივა თავი აღნიშნულ საქმეზე. პირიქით, მოსახლეებს, რომელთა ჭიშკრის წინ ჩაამწკრივეს ნარგავები, არც კი გამოუხედიათ, არადა მისთვის საყურდენების გაკეთებას რა დიდი საქმე უნდოდა. ნარგავები ბევრგან (კოსტავას ქუჩაზე) გადატეხილი და დაბრეცილია, ტირიფები ტირიან...

## შეკეთებას მოითხოვს

№17 საპარიკმახერო საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორიაზე მდებარეობს. საპარიკმახეროს ხუთი თანამშრომელი კეთილსინდისიერად ემსახურება კლიენტებს, რომლის სიმრავლე ყოველთვის თვალში საცემია.

საპარიკმახერო ავარიულ მდგომარეობაშია: ჭერი ჩამონგრევაზეა, შართალია, დღეს, ნებისმიერი სამშენებლო მასალის შოვნა ჭირს, მაგრამ სასურველია, ქალაქის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ხელმძღვანელობამ გამოიჩინოს გულისხმიერება და დროულად მიხედოს საქმეს.

**ბ. ზამუგია.**

## უკიდურესი ზომები

ქალაქის საბინაო-კომუნალური მეურნეობის განყოფილების მიერ მიუხედავად მრავალი მკაცრი ღონისძიების გატარებისა, ვერა და ვერ ალიკვეთა ქალაქის ცენტრში უპატრონოდ მიშვებულ პირუტყვთა თარეში. მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა ბაღპარკები საძოვრად და ღორების საჩიჩქნად აქცია, რითაც სერიოზული ზიანი მიაყენა ქალაქის მწვანე მეურნეობას.

სისტემატურად უშვებენ პირუტყვს უმეთვალყუროდ შემდეგი მოქალაქეები: პართენ ბერაძე, ნაპო ჯანჯღავა, გულნარა კიტია, მზია კვარაცხელია, ბონდო ყურწუა, ადამურ ხასაია, შოთა დარახველია, ვახტანგ ზარანდია, ბოჩო ჭანია, რეზო კონჯარია, ჟორჟი კოდუა, მარო უბილავა და სხვები.

შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტურამ კომუნალური განყოფილების მუშაკებთან ჩაატარა თათბირი, სადაც მთელი სიმკაცრით იყო მსჯელობა მოხეტიალე პირუტყვთა სრული ლიკვიდაციის თაობაზე და დაისახა უკიდურესი ზომები. პირუტყვი (ძროხა, ღორი), რომელიც დაჭერილი იქნება ქალაქის ტერიტორიაზე, ყოველგვარი ჯარიმების გარეშე დაუყოვნებლივ უნდა ჩაბარდეს ცხოველმზადებას და საქონლის ცოცხალი წონის საფასურით აღდგენილ იქნეს მიყენებული ზარალი.

**ქალაქის საბინაო-კომუნალური მეურნეობის განყოფილება.**

## „ოქროს ქორწილზე“

ამ უაღრესად რთულ და პრობლემებით სავსე ყოველდღიურობაში ხალისიანი, ამაღლებული განწყობილება იშვიათად გვეძლევა. ამასწინათ, სიხარულისა და მოლხენის საფუძველი უსათუოდ გვქონდა „ოქროს ქორწილის“ მონაწილეებს. დიახ, დაქორწინებიდან 50-ე წლისთავს აღნიშნავდა შამგონელი პენსიონერი პედაგოგი დავით პლატონის ძე ბეჭვაია. ამ საზეიმო დღეს ბატონი დავითი და ქალბატონი შურა, ოჯახის წევრებითა და ახლობლებით გარშემორტყმულნი, უსაზღვროდ ბედნიერნი იყვნენ. ნახევარი საუკუნის განმავლობაში ყოჩაღად ზიდეს ცხოვრების ჭაპანი. პირნათლად მოიხადეს ვალი ოჯახისა და ერის წინაშე. მეუღლეებს ცხოვრების გავლილი გზის შესახებ გვესაუბრა ოჯახის უფროსი: ობლობაში გაზრდილმა დიდი გაჭირვება გამოიარა. სრულიად ახალგაზრდამ თავისი ბედი დაუკავშირა თანასოფლელ ექიმის თანაშემწეს შურა ქირიას. ოჯახში ხუთი ღირსეული შვილი აღიზარდა: უფროსი დემური ჩინებული მეურნეა, ისიც ხუთ შვილს უზრდის მამულს. მზია გალის რაიონში ცხოვრობს, სამი სასახელო შვილის დედა დაუზარებლად ემსახურება სკოლამდელთა აღზრდას. აგრონომი მზევინარი ვანში ცხოვრობს, იგი სტუდენტი ქალ-ვაჟის დედაა. ნაზი ფიზიკა-მათემატიკას ასწავლის საშუალო სკოლაში, ორი ქალიშვილისა და ერთი ვაჟის დედაა. უმცროსი აზა მეცნიერმუშაკია. სულ მალე დაიცავს საკანდიდატო დისერტაციას.

სიცოცხლე დუღს ბეჭვაიების ღონიერ ოჯახში, მამულის თავისუფლებისათვის მლოცველ ოჯახში.

ღმერთმა გვიმრავლოს „ოქროს ქორწილები“.

**ლაშა ბეჭვაია,**

თსუ სოხუმის ფილიალის ფილოლოგიის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი.

ზამთარი გვაჩქარებს

## როგორ ვემზადებით თბობის სეზონისათვის?

ზამთარი კარს მოგვადგა. წლევანდელი სეზონი ათასი სიძნელით გვემუქრება. იმის გასარკვევად, თუ რა მდგომარეობაა გათბობით უზრუნველყოფის მხრივ, რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ ქალაქის საბინაო-კომუნალური განყოფილების გამგეს თ. ცაშავას:

— როგორც ვიცით, ძალზე მოუწესრიგებელი იყო გათბობის სისტემის მუშაობა გასულ წელს. რედაქციაში არაერთი განცხადება და საჩივარი შემოდიოდა ამის გამო. მიმდინარე წელს რა შეიცვლება ამ მხრივ, რა მოსამზადებელი სამუშაოები ჩატარდა?

— ქალაქში არსებული 50 საქვაბე მეურნეობიდან ჩვენს დაქვემდებარებაშია 23. უნდა ითქვას, რომ სარემონტო სამუშაოები გვიან დაიწყო, აგვისტოს შუა რიცხვებიდან. ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი რესპუბლიკურ საავადმყოფოს, სასტუმრო „ოდიშის“, ჩიჩუას, ბუკიას, ჩელუსკინელების ქუჩების საცხოვრებელი ბინების საქვაბეებს. ამჟამად მიმდინარეობს მე-10 საშუალო სკოლისა და ერისთავის ქუჩის პირველი საცხოვრებელი სახლის საქვაბის კაპიტალური შეკეთება, მიმდინარე რემონტი გაუკეთდა აგრეთვე მე-11 და მე-13 საშუალო სკოლის საქვაბე მეურნეობებს. სეზონის დაწყებამდე (15 ნოემბერი) ყველა საქვაბეს გამართვა უნდა მოვასწროთ.

— ცხადია, რომ მასალები დეფიციტი გახდა, როგორ აპირებთ ამ წინააღმდეგობის დაძლევას?

— ფონდირებული მასალები საერთოდ არ გაგვაჩნია, პირდაპირი ხელშეკრულებით ან გაცვლითი ოპერაციებით ვშოულობთ მცირედს. სწორედ საჭირო მასალის უქონლობის გამო ვერ ვახერხებთ კოლხეთის ქუჩის 70-ბინიანი, ერისთავის ქუჩის 50-ბინიანი, ალმაშენებლის 18-ბინიანი სახლების თბოქსელის კაპიტალურ შეკეთებას. იქ მთლიანად გამოსაცვლელია რადიატორები და მილები, ისინი თერმულ წყლით თბება, რაც აზიანებს სისტემას.

დანარჩენ სახლებში, თუ ელექტრო ენერგიის მხრივ არ იქნა შეფერხება, თერმული წყლით გათბობა უზრუნველყოფილი იქნება.

შემოზიდული გვაქვს 140 ტონა საწვავი, სეზონის ბოლომდე საჭიროა 320 ტონა. დონეცკიდან პირდაპირი ხელშეკრულებით შემოვიტანეთ 280 ტონა ქვანახშირი, შეშა საერთოდ არა გვაქვს.

ერისთავის ქუჩის საქვაბე მეურნეობისათვის მე-12 ტრესტი გვპირდება დახმარებას, ვნახოთ, როგორ შეგვისრულებენ.

— უშუალოდ ვინ არიან დასაქმებული სამუშაოებზე და როგორი ხარისხით სრულდება ისინი?

— ძირითადად სამუშაოებს აწარმოებს თბომეურნეობის სამმართველო (ხელმძღვანელი თ. წურწუმია). უნდა ითქვას, რომ დასაქმებულ ორ ბრიგადაში კეთილსინდისიერად მუშაობენ სპეციალისტები — შ. ჯანჯღავა, ბ. კვარაცხელია, ელშემდუღებელი გ. ქოლტოვი, ზეინკლები — ჯ. ფარჯიკია, გ. შანავა, ჟ. წიფურია და სხვები.

— როდის ჩაირთვება გათბობა?

— მაქსიმალურად შევეცდებით, რომ გათბობა 19 ნოემბრისათვის ჩაირთოს.

**ესაუბრა ქ. ტაბაღუა.**

## მამულის ზეცა ათრთოდა...

ქართველ პატრიოტს, საქართველოს ეროვნული გვარდიის ახმეტაურს ნუგზარ შანავას 7 ნოემბერს 87 წელი შეუსრულდებოდა. ვაგლახ, სხვანაირად ინება განგებამ, სამშობლოს სიყვარულით გულანთებულ ვაჟკაცს არ დააცალა სათაყვანებელი შვილების: ინგას, იზას და ზვიადის უდრუბლო ბედით გახარება, ტყვეობიდან თავდახსნილი მამულის ხილვა. მაგრამ მის დანატოვარ კერაზე აღარ ჩაქრება ცეცხლი, ღვთიური სიყვარულით შუქფენილ ეზოს კვლავაც გაათბობს მამულის ცისკენ კეთილად მზირალი მისი ოჯახის წევრების გულის ფეთქვა.

მკითხველს ვთავაზობთ თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორის ნ. კოდუას ლექსს რომელიც მან სამშობლოს ერთგული ჭარისკაცის გასვენებაზე წაიკითხა:

ვიცოდი გერქვა ნუგზარი,
გვარად ყოფილხარ შანავა,
შენი გმირობის ამბავი,
შვილიდან შვილზე გადავა.
მთებში იყავი გაჭრილი,
მაოხარს შიშით ზარავდი,
და წინ გიძღოდა შენ ლამპრად,
დიდი სინათლე მარაბდის.
ტყვია, რომელმაც გიმსხვერპლა,
გავარდა მოძმის ხელიდან,
როდემდე უნდა ვბორგავდეთ,
ღალატით, შინა მტერითა.
სატანის ხელით ძლეული,
მაცხოვრის ცრემლმა გინათა,
აწ და მარადის იგულვე.
სამშობლო ზეცა —ბინადა.

## ოჩქარეთ... უმოკლესი გზით სტუდენტობამდე

ამა წლის 22 ოქტომბერს გაზეთ „ოდიშში" გამოქვეყნდა დავით აღმაშენებლის სახელობის თბილისის საინჟინრო-ეკონომიკური ინსტიტუტის განცხადება „უგამოცდოდ ინსტიტუტში", რითაც ზუგდიდელ ახალგაზრდებს ეძლევათ რეალური შესაძლებლობა გახდნენ აღნიშნული ინსტიტუტის სტუდენტები, ყოველგვარი მისაღები გამოცდების გარეშე. მისასალმებელია, რომ ზუგდიდელ დღისა და საღამოს სწავლების მე-11 კლასელებს შეუძლიათ გახდნენ სკოლის პარალელურად ამ ინსტიტუტის მოსამზადებელი განყოფილების მსმენელები, რომელიც ფუნქციონირებას იწყებს 10 ნოემბრიდან ქალაქის მესამე საშუალო სკოლის შენობაში. სწავლება 5 დღიანია, 3 საათიდან 6 საათამდე, შემდეგ საგნებში: მათემატიკაში, ფიზიკაში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში. საგნის სპეციალისტებად მოწვეულნი არიან: მათემატიკაში: გ. ბელქანია, თ. ახალაია, ფიზიკაში: გ. პაპავა, ქართულ ენასა და ლიტერატურაში: დ. ნაროუშვილი.

აბიტურიენტმა საკმარისია აღნიშნულ საგნებში ივნისის თვეში მიიღოს ჩათვლა, [illegible] მის მიერ არჩეული ფაკულტეტის სტუდენტი. ჩათვლებს აწარმოებენ ზემოთ აღნიშნული საგნის მასწავლებლები, ინსტიტუტის მიერ გამოყოფილი კომისიის ზედამხედველობით.

იჩქარეთ, საბუთების მიღება 5 ნოემბრამდეა.

მოსამზადებელი განყოფილება გაძლევთ გარანტიას გახდეთ აღნიშნული ინსტიტუტის სტუდენტები.

ზ. პაპავა,

მოსამზადებელი განყოფილების მეთოდისტი-ფიზიკოსი.

---

ზუგდიდის ცენტრალური სტადიონი
(დავით აღმაშენებლის ქუჩა №4)
საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი (უმაღლესი ჯგუფი)

ფეხბურთი

1991 წლის 7 ნოემბერი
„ოდიში"—ზუგდიდი— „ქუთაისი" ქუთაისი.
დასაწყისი 14 საათზე.
1991 წლის 11 ნოემბერი.
„ოდიში"— ზუგდიდი— „ალაზანი" —გურჯაანი.
დასაწყისი 14 საათზე.

ამ გუნდების დუბლშემადგენლობათა თამაშები ჩატარდება 6 და 10 ნოემბერს, ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის სტადიონზე. ორივე თამაშების დასაწყისი 14 საათზე.

ძირითადი შემადგენლობების თამაშებზე შესასვლელი ბილეთები გაიყიდება ცენტრალური სტადიონის სალაროებში 7 და 11 ნოემბერს დილის 10 საათიდან.

ზუგდიდის საფეხბურთო კლუბი „ოდიში".

---

მილოცვები, სურვილები

გიგიშა ვიქტორის ძე კუკავას დაბადების 60 წლისთავს ულოცავენ მეუღლე ფასო, შვილები: ხათუნა, გია, გელა, რძალი ნანა კუკავები, სიძე სოსო ზეროზია, შვილიშვილები: გიგა და თამარი.

უსურვებენ მას ჯანმრთელობას, ბედნიერებას და წარმატებებს.

---

გიწვევთ!

თბომეურნეობის საექსპლოატაციო სარემონტო კანტორის ადმინისტრაცია ზამთრის თბობის სეზონში იწვევს სამუშაოდ ცეცხლფარეშებს, რომელთა თვიური ხელფასი შეადგენს 300-500 მანეთს.

თბომეურნეობის საექსპლოატაციო - სარემონტო კანტორა.

---

გვჯერა, საინტერესო იქნება!

გაზეთი „აფხაზეთის ხმა" ერთადერთი ყოველდღიური ქართული გაზეთია აფხაზეთში. როგორც მთელს რესპუბლიკაში, ასევე აფხაზეთშიც, დღეს მეტად რთული პოლიტიკური ვითარებაა. ჩვენი ღრმა რწმენით, აფხაზეთში მიმდინარე პროცესებით, ადგილობრივ მოსახლეობაზე არანაკლებ დაინტერესებულნი არიან ოდიშელებიც, ვინაიდან, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ეს ორი რეგიონი ნათესაურადაც მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი. „აფხაზეთის ხმის" რედაქცია დაინტერესებულია საკუთარი მკითხველი ჰყავდეს ზუგდიდში და მის რაიონში. ჩვენს რედაქციას გადაწყვეტილი აქვს პირველი იანვრიდან შემოიღოს რუბრიკა „ლიტერატურული ოდიში", სადაც სისტემატურად დაიბეჭდება ზუგდიდელ ავტორთა ნაწარმოებები, ასევე ფართოდ გაშუქდება თქვენი რეგიონის ეთნოგრაფიული, ფოლკლორული, კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების ამსახველი მასალები. ვაპირებთ მჭიდრო კონტაქტის დამყარებას გაზეთ „ოდიშის" რედაქციასთან.

ჩვენი ღრმა რწმენით გაზეთი „აფხაზეთის ხმა" საინტერესო იქნება ზუგდიდელი მკითხველებისთვისაც.

ხელმოწერის წლიური ღირებულებაა 25 მანეთი და 20 კაპიკი.

გაზეთი „აფხაზეთის ხმა".

---

სპორტი

## ორივე—პენალტით

### „ოდიში" (ზუგდიდი)— —„მარგვეთი" (ზესტაფონი)— 2:1

თამაშის წინ ჩვენი გუნდი აღმოჩნდა გარკვეული პრობლემის წინაშე, მას აკლდა ორი წამყვანი მოთამაშე (გ. კვიტაიანი და მ. შეროზია). ამას დაემატა კოკისპირული წვიმაც, რომელიც უფრო უშლის შემტევ გუნდს. მიუხედავად ამისა თამაში მასპინძლებმა დაიწყეს ჩქარ ტემპში, მათი უპირატესობა პირველ ნახევარში აშკარა იყო. მაგრამ მიუხედავად ამისა, მასპინძლებმა მაინც ვერ მოახერხეს დაწინაურება, მეტიც, მათ პირველი გაუშვეს ბურთი თავის კარში—სტუმართა ფორვარდმა ჭულელმა ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში. 86-ე წუთზე მ. ბიგვავას გარღვევა უხეშად შეაჩერა საჯარიმოს ფარგლებში სტუმართა მცველმა, პენალტი ზუსტად შეასრულა ყიზილაშვილმა—1:1.

გადამწყვეტი ბურთი 78-ე წუთზე მასპინძლებმა კვლავ თერთმეტმეტრიანი საჯარიმოდან გაიტანეს (ყიზილაშვილი) —2:1.

ბოლო წუთები მიმდინარეობდა ორმხრივი იერიშებით, მაგრამ ანგარიში არ შეცვლილა.

რ. ბაბილონია,

ჩვენი კორ.

---

გეპატიჟებათ გაზეთი „შანსი"

ამა წლის 8 ნოემბერს ხელმოწერებზე, რომელიც ჩატარდება ყოფილი რაიაღმასკომის შენობის სააქტო დარბაზში 10 საათიდან.

ლონისძიება ჩატარდება აგრეთვე „მარებელის" რუბრიკით.

გაზეთი „შანსი" ელოდება თავის მკითხველებს.

გამოიწერეთ გაზეთი „შანსი"!

---

მეუღლე ნუცა, შვილები: იზა, ლიანა, მანანა, ედიშერი, და თალიკო, რძალი ინდირა, სიძეები ნაპო ბებურია, როლანდ შენგელია, თემურ კანკავა, ზური ენუქიძე, შვილიშვილები: მაკა, ბაჩო, სოფიკო, ნონა, ცირა, დათო, გიგა, ქრისტინა, დისშვილები: თენგიზ, თორნიკე, სოსო ბებურიები, სიმამრი გალოდია თოდუა, ცოლისდები: თალიკო, მადონა, რახილო, ცოლისძმები: აპოლონ, ომარი, დოდი, მამიდაშვილები ალიოშა ქარჩავა, ლუშა, ნუცა. თამარა, ბოჩო, ვასო წურწუმიები, ბიძაშვილები: ბუხუტი, ნათელა, ამირანი, რეზო მაქაცარიები, ბიტუშა, შალვა, ირაკლი, ეთერი, მარგო, ლორა კაკაშვილები, დეიდაშვილები თინიკო, შოთა, ჯოჯი მირგატიები, ქვისლები: აკაკი ჯღამაზია, შალვა ლოჩია, ჯანიკო წულაია, მზახლები: ეთერი შენგელია, ნიურა, დავით კანკავები, გულნაზი, გული ენუქიძეები, ვერა, აჩიკო ქარჩავები. ახლოესი ნათესავები იუწყებიან

**ალექსანდრე (ალიოშა) ეგნატეს ძე კაკაშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7, 8 ნოემბერს. დაკრძალვა 9 ნოემბერს სოფ. ცაცხვში.

---

ზუგდიდის საკოლმეურნეო ბაზრის თანამშრომლები იუწყებიან

**ტატიანა სახაია-ქობალიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე ბაბუცა, შვილი მანონი, შვილიშვილი გიორგი, და ლუნა, ძმა ვახიჩა, ბიძები: ალექსანდრე, თეოფანე, ლეო კალანდიები, სიძე ჟორჟი მალანია, ცოლისძმა იიდიკო, ცოლისდები: კატუშა, ნიკუშა, ძმისშვილები: თამაზი, რევაზი სარიები, დისშვილები: ჯული, სოსო, მარინა, თემური, მაია მალანიები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები ახლო ნათესავები იუწყებიან

**ჟორჟი დავითის ძე სარიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 5, 6 ნოემბერს. დაკრძალვა 7 ნოემბერს. გამოსვენება 16 საათზე, ქ. ზუგდიდი, სოხუმის ქ. 117-დან. დაკრძალვა ქ. წალენჯიხაში.

---

ძმისშვილები: დაზმირი, ჯუმბერი ცანავები, გარი, გენო, ლეილა სიჭინავები, დისშვილები: ნათელა, ვენერა შამათავები, რძლები: პარასკევა ჯიქია, ლუიზა ქვანია, ნინა დუბროვინა, ფაციკო შამათავა, ნანი დვალიშვილი, მიმოზა გორდელაძე, ნათელა ცხადაია, დიანა ქანთარია, ცოლისდები: ლაოული, ნუნუ სხულუხიები, სიძეები: შოთა სანაია, ჟორჟი სახურია, ცოლისდისშვილები: გიმზერი სახურია, ჯემალი. მურთაზი, ლერი ცხადაიები, მიმოზა, ცისანა, ცეზარი, ამირანი თირცხალავები, მერაბი, ბაჩუკი ჯოპუები იუწყებიან

**ხარიტონ კონსტანტინეს ძე ცანავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 5, 6 ნოემბერს. გამოსვენება 7 ნოემბერს 16 საათზე. ჯორჯიაშვილის ქ. 30-დან. დაკრძალვა სოფელ ცაიშში.

---

რედაქტორის მოადგილე
ზ. ცხონდია.

---

მშობლები: ლეილა, მევლუდი, დია კობა, ბებიები: თამარა, ლუბა, ბაბუა ელისე ჭგერენაია, ბიძები: თენგიზ წულაია, როლანდ ჭგერენაია, მამიდები ლილი, ნელი წულაიები, დეიდა ციური ჭგერენაია, ბიძები: რეზო მირცხულავა, არველოდ ჭგერენაია, გურამ ფრუიძე, ბიცოლები: ელისო წულაია, სულიკო დავითულიანი, ბიძაშვილები: ინგა, გოჩა, ხვიჩა, თემური. იკა წულაიები, ჯონი. ჯამბული მირცხულავები, თეა, დათო, მერაბ ჭგერენაიები, გოგიტა, გიზო ჭგერენაიები, დეიდაშვილები: ნანა, ნონა ფრუიძეები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**ზაზა მევლუდის ძე წულაიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 7, 8, 9 ნოემბერს. დაკრძალვა 10 ნოემბერს. გამოსვენება სოფ. ინგირი, 9 აპრილის ქ. 13.

---

ქალაქის №3 საშუალო სკოლის მე-9 (ბ) კლასის მოსწავლეები და მშობლები იუწყებიან

**თორნიკე ბოჩოს ძე ჭითანავას**

გარდაცვალებას.

---

ცეკავშირის ზუგდიდის საწარმოო კომბინატის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ჯონი სერიოჟას ძე ქადარია**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

დეკაბრისტების ქუჩის უახლოესი მეზობლები თანაუგრძნობენ მეღიკო თოლორაიას ღედის

**ლიმო აქვსენტის ასულ სამუშია-თოლორაიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ზუგდიდის საკოლმეურნეო ბაზრის თანამშრომლები იუწყებიან

**გივი ვალოდიას ძე ანთიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ი ნ დ ე ქ ს ი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ. 56 ტელეფონები: რედაქტორის 2 21 80, რედაქტორის მოადგილის 2-33 69, პასუხისმგებელი მდივნის 2 31 98, [illegible] 2 21 78 მშრომელთა წერილების 2 25 12. [illegible]

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტ[illegible] სტამბა, მერაბ კოს[illegible] ქ. №58, ზ 23 07, ტირაჟი 5000 შეკ. № 4726